

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის N3 საჯარო სკოლის დირექტორს, ლიანა დოლიშვილს

გ ა ნ ც ხ ა დ ე უ ბ ა

მოგესალმებით, მუხრანის N3 საჯარო სკოლის, მე-6 კლასი. გვსურს ჩავატაროთ პროექტი „ჩვენ და ჩინეთი“ ვფიქრობთ ეს პროექტი გამოკვეთავს მოსწავლის, ნინო გერაძის შესაძლებლობებს და განვამტკიცებთ განვლილ მასალას.

პატივისცემით, ნინო გერაძე

29.04.2021

გთხოვთ დაგვენმართოთ საორგანიზაციო საკითხებში

თ ე მ ა ტ ი ი კ ა

„ჩ ვ ე ნ ღ ა ჩ ი ნ ე თ ი“




ჩინეთი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ზოგადად ცნობილი როგორც ჩინეთი — მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა 1.3 მილიარდზე მეტი მოსახლით. ჩინეთი მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველი ძალაა ჩინეთის კომუნისტური პარტია.[8] ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე, (ჰეკინი, ტიანძინი, შანხაი და ჩუნცინი) და ორ მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე [9] (ჰონგ-კონგი და მაკაო). ჩინეთის დედაქალაქია პეკინი.[1] აღმოსავლეთიდან აკრავს ყვითელი, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვები (წყნარი ოკეანე). სანაპიროსთან ბევრი კუნძულია, რომელთაგან უდიდესია ტაივანი და ჰაინანი

გერბი



დროშა



პეკინი

პეკინი, ბეიძინი-სიტყვასიტყვით: „ჩრდილოეთის დედაქალაქი“— ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი. პეკინი ჩინეთის ოთხი მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთია, რაც პროვინციის ექვივალენტურია ჩინეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურაში. პეკინის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება ხებეის პროვინციას ჩრდილოეთით, დასავლეთითა და სამხრეთით, და აღმოსავლეთის მცირე ნაწილით ტიანძინის მუნიციპალიტეტს.



ჩინური დღესასწაულები

ჩინეთში აღინიშნება ყოველწლიურად უამრავი დღესასწაული, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. ჩინელები გამოირჩევიან დღესასწაულებზე ემოციების განსხვავებულად გამოხატვით და უცნაური საჩუქრებით. ჩინეთში ყველაზე გავრცელებული დღესასწაულებია გაზაფხულის დღესასწაული და ფარნების ფესტივალი.



ფარნების ფესტივალი

ფარნების ფესტივალი-ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება გაზაფხულის პირველი თვის მე-15 დღეს. ფარნების ფესტივალის ჩამოყალიბებაზე უამრავი ლეგენდა მოგვითხრობს, მაგრამ აქედან ყველაზე უტყუარი და გავრცელებული ორია. პირველი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იმპერატორი მაკიუ იყო ძალიან განრისხებული და მოითხოვა სოფლების, ქალაქების დაწვა. მისმა ვეზირმა მოიხმო გონება და ხალხს დაარიგა, რომ ცაში წითელი ფარნები აეშვათ, რათა იმპერატორს ჰგონებოდა ვითომ ყველაფერი იწვის. ასეც მოიქცნენ, მალევე როცა იმპერატორს ეგონა, რომ ყველაფერი იწვის დაწყნარდა. მეორე ლეგენდა კი მოგვითხრობს ურჩხულ ნიენზე, რომელიც ჩინეთს წელიწადში ერთხელ, ერთიდაიგივე დღეს ესხმოდა თავს, იტაცებდა ხალხს. ყველაზე მეტად კი ბავშვების მოტაცება უყვარდა. ეთხელ ჩინეთში გამოჩნდა ბრძენი კაცი რომელმაც ხალხს ურჩია წასულიყვნენ და მარტო დაეტოვათ. ასეც მოიქცნენ, კაცმა ნიენის მოახლოების დროს ყველაფერი წითლად მორთო, გაუშვა შუმხუნები და დაიწყო ხმაური. ნიენი მაშინვე წავიდა, რადგან მას ხმაურის და წითელი ფერის ეშინოდა. ხალხი კი ძალიან მადლიერი დარჩა, იმ დღიდან ნიენი აღარ გამოჩენილა. ჩემი აზრით პირველი ლეგენდა უფრო ეპყრობა რეალობას ვიდრე მეორე.



ჩინური ხელოვნება

ჩინელები და საერთოდ ჩინეთის მოსახლეობა გამოირჩევა თავისი ინტელექტით და შესაძლებლობებით, ეს მის არქიტექტურაზე, ხელოვნებაზე, მოდაზე და კიდევ უამრავი სახის საქმიანობაზე აისახება. ჩინელები გამოირჩევიან თავისი ნიჭის ხელოვნების მიმართ. ყველაზე გავრცელებული, პოპულარული ჩინეთის ხელოვნებაში არის მისი აბრეშუმის ნაჭერზე შესრულებული ნახატი და ჩინური ვაზები.



ჩინური სამოსი

ჩინელებსაც როგორც ყველა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ ხალხ აქვს საკუთარი, ეროვნული სამოსი. ჩემი აზრით ჩინელების სამოსი მთელს მსოფლიოში საუკეთესოა-ხარისხით, დიზაინით, ტიპით. მითუმეტეს ქალბატონების სამოსი. მათი მკვეთრი ფერები და მშვენიერი ნახატები არცერთ შემთხვევაში არ რჩება უყურადღებოდ. ზოგიერთი ჩინური კაბა მოხატულია დრაკონით, მათი ნიშანიც ხომ დრაკონია. ნაჭრის ტიპი კი არის ატლასი, რომელიც საოცარ ეფექტს ტოვებს. ქალბატონის სამოსს ჰქვია ციპაო, ხოლო კაცისას კომონო.



მადლობა ყურადღებისათვის, მე-6 კლასის მოსწავლე ნინო გერაძე

29.04.2021 წ

*Thank
you*

